სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-04/2

10/ 01/ 2018 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის შესარჩევად კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო პირობების, კონკურსანტთა რეგისტრაციის ვადების, ადგილისა და კონკურსის დასრულების თარიღის განსაზღვრის შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს განმათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №132/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში კონკურსი ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის შესარჩევად დანართი1 მიხედვით (თან ერთვის).
2. კონკურსანტთა რეგისტრაცია, საკონკურსო დოკუმენტების მიღება დაიწყოს 2018 წლის 17 იანვრის 10^{00} საათიდან და დასრულდეს 2018 წლის 23იანვრის 18^{00}საათზე. საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს ყოველდღიურად შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა №59, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, პირველი სართული, ოთახი #1107.
3. კონკურსი ჩატარდეს კონკურსანტთა საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებებისა და გასაუბრების ფორმით.
4. კონკურსანტთა საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასება მოხდეს 2018 წლის 24 იანვარს.
5. კონკურსანტთა გასაუბრება ჩატარდეს 2018 წლის 25 იანვარს.
6. კონკურსის შედეგი გამოქვეყნდეს 2018 წლის 26 იანვარს.
7. აპელაციის ვადად განისაზღვროს სამი დღე 2018 წლის 29 იანვრიდან 31 იანვრის ჩათვლით.

9. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.
10. უნივერსიტეტის კანცელარიამ უზრუნველყოს ამ ბრძანების საინფორმაციო დაფაზე განთავსება. უნივერსიტეტის მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურმა ეს ბრძანება განათავსოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. გაზეთ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი-ს“ რედაქციამ უზრუნველყოს ამ ბრძანების გამოქვეყნება გაზეთში „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.
11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

უნივერსიტეტის რექტორი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY
კანცელარია
CHANCELLARY

გიორგი ღავთაძე

დანართი 1.

ვაკანსიის სახელწოდება : ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი

სამუშაოს აღწერა:

შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობა: პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა პროფესიული განათლების მხარდაჭერა.

კერძოდ:

- შეზღუდული შესაძლებლობის და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა რეკრუტირება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩართვის მიზნით;
- შეზღუდული შესაძლებლობის და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა და მათი ოჯახების კონსულტირება პროფესიული განათლების სისტემაში ჩართვის შესაძლებლობების შესახებ, მხარდაჭერა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ცართვის პროცესში;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურ გუნდებთან აქტიური თანამშრომლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ზოგადსაგანმანათლებლო სისტემიდან პროფესიული განათლების სისტემაში გადამისამართების პროცესში;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა შეფასება მათი პროფესიული ინტერესების, წინა პროფესიული უნარ-ჩვევების დადგენის მიზნით;
- შეზღუდული შესაძლებლობის და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფორიენტაციის განხორციელება კარიერის დაგეგმვის სპეციალისტთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად;
- შეზღუდული შესაძლებლობის და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება;
- შეზღუდული შესაძლებლობის და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთათვის სწავლისას და სამეწარმეო პრაქტიკისას ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის კადრთან ერთად (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, კარიერის დაგეგმვის სპეციალისტებთან და სხვ.);
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელთა და სხვა სპეციალისტთა კონსულტირება და მხარდაჭერა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა სწავლების პროცესში;

- მონაწილეობის მიღება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში და პრაქტიკის მიმღებ ორგანიზაციებში ინკლუზიური განათლების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების დანერგვის პროცესში (შესაბამისი აქტივობები დაგეგმვა და უზრუნველყოფა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელთა, დამსაქმებელთა, სტუდენტთა შორის);
- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, პრაქტიკის მიმღებ ორგანიზაციებში, დასაქმების ადგილებში, თემში ინკლუზიური განათლების მხარდაჭერისთვის შესაბამისი აქტივობების ინიცირება, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან და პროექტის "ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში" ადმინისტრაციასთან შეთანხმებით;
- შეზღუდული შესაძლებლობის და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესის მართვისას მულტიდისციპლინური გუნდური მიდგომით და ეთიკური პრინციპების დაცვით მოქმედება;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესის და განხორციელებული მხარდამჭერი აქტივობების დოკუმენტირება;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან ინკლუზიური განათლების მხარდაჭერისთვის განსაზღვრული აქტივობების განხორციელება.

პასუხისმგებლობის საზღვრები:

- ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი ანგარიშვალდებულია საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან და პროექტის "ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში" ადმინისტრაციასთან.
- ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი ვალდებულია შეათანხმოს ყველა გადაწყვეტილება საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან და პროექტის "ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში" ადმინისტრაციასთან.
- ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი ვალდებულია წარუდგინოს ყოველთვიური ანგარიში საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციას და პროექტის "ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში" ადმინისტრაციას.

მოთხოვნები:

- მინიმალური განათლება: უმაღლესი განათლება;
- სამუშაო გამოცდილება: 2 წელი

სამართლებრივი აქტების ცოდნა:

- "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი;
- „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- "პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონი;
- "ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანება.
- პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის (2013-2020 წწ) დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2013 წლის 26 დეკემბრის N300 ბრძანება.

დამატებითი მოთხოვნები:

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- სასურველი პროფესია: ფსიქოლოგი, სპეც.მასწავლებელი, ოკუპაციური თერაპევტი;
- სასურველი საგანმანათლებლო ხარისხი:
- მაგისტრის ხარისხი სოციალურ მეცნიერებებში, განათლების ან რომელიმე სხვა დაკავშირებულ სფეროში;
- სამუშაო გამოცდილება: მუშაობის არა უმცირეს ორწლიანი გამოცდილება რეაბილიტაციის, განათლების და/ან ინკლუზიური განათლების სფეროში

სხვა სპეციალური მოთხოვნები:

- საჯარო სკოლებში, სპეციალიზირებული პროფილის მქონე სკოლებში, დღის ცენტრებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებთან მუშაობის მინიმუმ 2 წლიანი პრაქტიკული გამოცდილება;
- კომპეტენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ფუნქციური, აკადემიური უნარების შეფასებისა;
- კომპეტენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის და განხორციელების;

- კომპეტენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა რეაბილიტაციის და/ან სწავლების

დამატებითი ინფორმაცია:

სასურველია, კონკურსანტს ჰქონდეს შემდეგი ტიპის გამოცდილება:

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა მხარდაჭერის გამოცდილება პროფესიული განთლების მიღებისა და დასაქმების პროცესში;
- პროფესიული განათლების სისტემაში მუშაობის გამოცდილება.

წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- განცხადება
- პირადობის მოწმობა და მისი ასლი
- 2 ცალი ფოტოსურათი 3/4 - ზე
- CV (პერსონალური მონაცემები)
- სამოტივაციო წერილი
- სარეკომენდაციო წერილი დასაქმების ადგილიდან
- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (დიპლომის/დიპლომების ნოტარიული წესით დამოწმებული ასლი/ასლები)
- კვალიფიკაციის სხვა დამადასტურებელი დოკუმენტები

შენიშვნა: აღნიშნულ პოზიციაზე შერჩევის შემთხვევაში აპლიკანტს მოეთხოვება კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტრენინგებში მონაწილეობის მიღება.

კონკურსის ეტაპები:

- განცხადების გადარჩევა
- გასაუბრება